ხუთშაბათი, 20 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 281

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

ყოველ დღიური გაზეთი

## „ისარი“

მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.

ნახევარი წლით „ „ „ „—4 მანეთი.

ერთი თვით „ „ „ „—90 კაპ.

ზულდან და არტემ სერგეის ძენი და ნინა სერგეის ასული მიქელოვები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ დედის

### ეკატერინე მიქელოვისას.

გამოსვენება გრიგორიანის ქუჩა, სახლი № 5, ადეს, ხუთშაბათს, დილის 10 საათზე, ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიაში. (1—519—1)

**ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში**

პარასკევს, 21 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ორი ახალი პიესა.**

ბენეფისი ვ. აბაშიძისა

I **ხელთათმანი** პიესა 3 მოქ. თხზ. ბიერენსტერნ-ბიერენსტენისა. თარგ. გ. ანანიაშვილისა.

II **მუქთახორა** სცენები 1 მოქმედ. ვ. ა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ნებიერიძისა ვ. ჩერქეზიშვილისა, ო. ლეჟავა; ბ-ნნი ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

დასასრულ **დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ამალინი (ყიფიანი), ტომაშევიჩი და იმედაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

**ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასსაში.**

მორიგე წევრი გამგეობისა **პ. გოთუა.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

20 დეკემბერს, ხელმისაწვდენი წარმოდგენა დაკლებულის ფასებით. წარმოდგენილი იქნება

I „ფრა-დიავოლო“ კომ. ოპ. 3 მოქ. მუს. ობერისა.

II ცეკვა ბალ. „შჩელკუნჩიკ“-იდან მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნი სპეშნევა, ტურჩანინოვა; ბ-ნნი აკიმოვი, გავრილოვი, პავლოვსკი, საინოვი, ენგელ-კრონი, იუჩენკოვი,

კაპელმეისტერი: **ფოლიაშვილი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 21 დეკ. ქალთა მე-2 გიმ. ღარიბ მოს. სასარგებლოდ—«ჯიოკონდა“; 22 დეკ. 25 წლის იუბილეი რეჟის. ბელსკისა. (0—22)

მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

### „ექსელანსი“

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვეშოდ

**აცხადებს,**

რომ, „ექსელანსის“ ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველასაქონლის ფასები

### დაკლებულია

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია“, ქალებისა და ვაჟების გაუქლენთავი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

**ფასები საქარხნო და შეუვაჭრებლად**

„ექსელანსის“ ამ—ბამ კრივოიროგის გამოფენაზე მიიღო

### ოქროს მედალი

(10—493—4)

კბილის ექიმი

**ალ. ხოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

**შურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—46)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—251)

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6.—39)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—15)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—10)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

ს. ი. კერესელიძე

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—17)

კბილის ექიმი

**ბალარჯაშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—2)

ექიმი

**ე. მამაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი

**გ. ნ. მამაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების**, სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლევების.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭანიძისა(25—წლ.

**ქ. თელავში**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—32)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

### ძმ. ნიკიტინების ცირკი.



20 დეკემბერს, 1907 წელს, **დიდი წარმოდგენა** სამგანყოფილებად. მონაწილეობას იღებენ ყველანი: საუკეთესო ცხენოსანნი, გიმნასტიკოსნი, ჟონგლიორები, ჰაერში მფრინავნი, ორიგინალური კლოუნები. უკანასკნელად სენსაციონური ფეერია „წითელი ეშმაკი“. დასდგამს პეტერბ. ბალეტმეისტერი ანტონიო. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. მზადდება წარმოსადგენად ფანტასტიური ფეერი. დირექტორი **აკიმ ნიკიტინი.** (1—513—1)

კვირას, 23 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში (კიროჩ. ქუჩა

### ექ. ივ. გომართელი

წაიკითხავს ქართულად სახალხო ლექციას შემდეგ თემაზე:

**„თავის ტვინი და მისი როლი ადამიანის ფსიხიურ ცხოვრებაში“**

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე. (1—1)

**„ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში**

6 იანვარს 1908 წ. გაიმართება

### ბ ა ლ ი

ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიის სასარგებლოდ.

შესასვლელ ბარათის ფასი 2 მან. 10 კაპ.

(6—6.—2) პასუხის მგებელი გამგე **ქნ. ი. კ. თუმანიშვილისა.**

### თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

### არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—23)

№ 101 | № 101 პურის არაყი № 101 | № 101

№ 101 პურის არაყი

უმთავრესი კონტორა



სავაჭრო სახლისა

ЗАВОДСК. МАРКА

### ძმ. სესიევებისა და ამხ.

ვაგზლის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 197.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველთ და მსმელთა, რომ თუმცა ეხლა არსებულმა არაყმა „ელენზნო-დოროჟნოე“, „სტოლოვოე № 50“ და „ფლოტსკოე“ ამ ცოტა ხანში თავის საკუთარ თვისებით და უპირატესობით (სხვის ფირმების არაყებთან) შესძინეს საწყობს დიდძალი მუშტარი, შემდეგშიაც მოიპოვებენ უფრო უმეტესს მუშტარს, მაგრამ ფირმამ მაინც გამოუშვა დღესასწაულებისთვის ახალი არაყი საუკეთესოდ გაწმენდილი: **„Столовое Вино № 101“.** ეს არაყი გაწმენდილია ახლად დადგმულ აპარატებით, ახლად გამოგონილ **სისტემისა პარიზში** ეს არაყი არის სასმელად: რბილი, სასიამოვნო გემოსი და მშვენიერი სუნისა. ამიტომ სავაჭრო სახლი ურჩევს ბ-ნთ მყიდველთ და ბ-ნთ მსმელთ, რომ შეიძინონ ეს არაყი. (7—520—1)

№ 101 პურის არაყი

№ 101 | № 101 პურის არაყი № 101 | № 101

ქართული წარმოდგენა

კვირას, 23 დეკემბერს, **„რენესანსის“** თეატრში (მიხეილის ქუჩა), ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება

### ყომარბაზის ცხოვრება

დრამა 5 მოქმ. თარგ. ბაჯიაშვილისა.

ადგილების ფასი **აბაზიდან** მანეთ-ნახევრამდე.

**დასაწყისი დილის 11 ს. გამგე ჯაბაური.**

რადგან ამ ბოლო დროს გახშირდა გადმოსახლება შორაპნისა და გორის მაზრებიდან საერთო ვაჩნაძეებისა და აბხაზიანთ მამულში, რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრაში ალაზან გაღმა, ამით გამგეობა ზემოხსენებულ მემამულეთა ამხანაგობისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ საზოგადო კრებ ს დადგენილებით, დასახლება ალაზან გაღმა მამულეში აკრძალულია. (1—522—1)

მეჩექმეთა ამხანაგობა

### „ნდობამ“

იქონია მსჯელობა მომავალ დღესასწაულებისათვის თითქმის მასალის ფასად გაჰყიდოს დამზადებული ფეხ-საცმელი შევროსი, ხრომისა და შავი საქონელი: ჩექმები, „პოლსპოშკები“ ქალისა და კაცისა. ეს სიიაფე გამოიწვია მაღაზიის სივიწროვემ. ვიწვევთ პატივცემულ საზოგადოებას, ისარგებლოს პირველის შემთხვევით. კვირა-უქმე დღეებში ღია გვექნება მთელი დღე. კიროჩნის ქუჩა, № 11, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ. აგრეთვე ვთხოვთ ყველას, ვისაც კი რა წაუღია ნისიად, დაუბრუნოს ათასნაირ ნაწამებ ამხანაგობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთით გავაცხადებთ ყველას სახელსა და გვარს.

(3—3) გამგე ამხანაგობისა **ზ. ბერძენიშვილი.**

## ტფილისი, 20 დეკემბერი.

ორი კვირის წინ სახ. სათათბიროს საფინანსო კომისიამ მოახდინა ერთი დადგენილება, რომელიც ხუთის ან ათის წლის წინად დიდ ყურადღებას დაიმსახურებდა არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთშიაც; ახლა კი მას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და თითქმის ღეუნიშვნელი დარჩა ჩვენს პრესსასაც და რუსეთის მოწინავე პრესსასაც.

მთავრობამ წარუდგინა სათათბიროს დასამტკიცებლად კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც კანონით ოთხი წლის განმავლობაში მოქმედებს და ყოველ ოთხ წლის შემდეგ ახლად უნდა იქმნას დამტკიცებული. საფინანსო კომისიამ, რომელსაც სათათბირომ გადასცა ეს ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ ოთხ წლისთვის, მხოლოდ **ერთის წლის** ვადით დაამტკიცა და თან შემდეგი რეზოლუცია მიიღო: საჭიროა რაც შეიძლება მალე იქმნას შემოღებული კავკასიაში ერობაო. იმდენად ანორმალურია ბიუროკრატიული საერობო მოღვაწეობა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომ თვით მესამე სათათბიროს კომისიას, სადაც უმრავლესობა ოქტომბრისტებსა და მემარჯვენეთ ეკუთვნის, ვერ უცვნია შესაძლებლად აწინდელ წესის დატოვება და ერთხმად დაუდგენია, ძველი წესი მხოლოდ ერთის წლით დარჩეს და გავრცელებულ იქმნას კავკასიაზე საერობო დებულების მოქმედებაო! ეს დადგენილება კომისიიდან სათათბიროში გადავა და, მაშასადამე, იქ მთავრობის განმარტებასაც მოვისმენთ ამ საჭირბოროტო საკითხზე· უნდა ვიგულისხმოთ, რომ, რაკი საფინანსო კომისიამ ერთხმად მიიღო ხსენებული რეზოლუცია, იგი სათათბიროს მიერაც იქნება შეწყნარებული და მთავრობა იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს თავის „მორჩილ სათათბიროს“ ამ აზრს...

ასეთი ამბავი, როგორც ვთქვით, წინად დიდის სიამოვნებით იქნებოდა აღნიშნული მთელ ჩვენს ქვეყანასა და რუსეთში. ორმოცი წლის განმავლობაში მოწინავე პრესსა და საზოგადოება დაუღალავად მოითხოვდნენ ადგილობრივ თვითმმართველობას, უთითებდნენ მთავრობას, რა შეცდომაა ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალების შეხუთვა, რა მავნებელია თვით სახელმწიფოსათვის ბიუროკრატიული აპეკა ადგილობრივ საქმეებში; მაგრამ ეს ხმა მთავრობას არ ესმოდა და უგუნურად ჰფიქრობდა, რომ პოლიცია საუკეთესო მზრუნველია ხალხისა და რომ ეს ხალხი სამუდამოდ დარჩება მონობის უღელში. განვლილმა სარევოლიუციო ქარიშხალმა შეურყია თვით ბიუროკრატიასაც ეს უგუნური რწმენა და უჩვენა საჭიროება საზოგადოებრივ ძალების განთავისუფლებისა; მაგრამ, რაკი გამარჯვება მაინც მას დარჩა ჯერ-ჯერობით, იგი კვლავ მზადაა ავტოკრატია და ბიუროკრატიული მზრუნველობა აღიაროს ... სახელმწიფოებრივ პრინციპად ან არა და ყურმოჭრილ მონად გახადოს სახალხო წარმომადგენლობაც და ადგილობრივი თვითმმართველობაც. მთელი მისი ძალ-ღონე ახლა ამაზეა მიმართული; თუ სავსებით აღარ შეიძლება ძველის რეჟიმის აღდგენა, დეე ხალხმა მიიღოს მონაწილეობა უმაღლეს კანონმდებლობაშიაც, ადგილობრივ საქმეთა მართვაშიაც; მაგრამ ეს მონაწილეობა ისეთ ფარგალში იქმნას ჩაყენებული, რომ ბოლოს და ბოლოს მთავარი ბრძანებელი ისევ ბიუროკრატია იქმნასო. მთელ მოწინავე რუსეთისათვის, მთელ ხალხისათვის აშკარაა ესეთი პოლიტიკა ბიუროკრატიისა; ამიტომ არავითარ ილლიუზიას, არავითარ იმედებს აღარ აქვს ადგილი; ყველას კარგად ესმის, რა ფასი აქვს ბიუროკრატიის ახლანდელს მოღვაწეობას რუსეთის ვითომდა განახლებისათვის...

ახლაც, ალბად, იგი არ იტყვის უარს კავკასიაში ერობის შემოღებაზე, — არ იტყვის, რადგან იმედი აქვს—ახალ ფორმას ძველი ბიუროკრატიული სული შთაბეროს და ამ რიგად სახელი ახალ დროის მოთხოვნათ მიუძღოს, საქმე-კი თვითონ დაიტოვოს. ეს იმედი ტყუილი არ არის. **3** ივნისის საარჩევნო კანონმა შეძლება მისცა მთავრობას თავის გემოზე „განაახლოს“ რუსეთის წესწყობილება; ეს ისეთ თვალწარმტაც პერსპექტივას უშლის წინ, რომ ლამის არის განმათავისუფლებელი მოძრაობა დალოცოს, რადგან გასაჭირიდან გამოიყვანა და კვლავ გააღორძინა მისი შემოქმედებითი ნიჭი. მართლაც: ტოლსტოებს, პლევეთ, სიპიაგინებს და სხვა წინა დროის ბიუროკრატთ, რომელთაც ერობის ხსენებაც-კი შიშის ზარსა ჰგვრიდა, ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას-კი არა, თვით სახალხო წარმომადგენლობის გადაქცევაც შეიძლება თავის ბატონობის გამაგრების იარაღადა!.. ერთი რამ აფიქრებს მხოლოდ თვითმპყრობელ ბიუროკრატიას: ხალხის თვითშეგნება ეხლა ერთ დღეში უფრო იზრდება, ვიდრე წინად **40** წელიწადში და იმ დროს ერთობ ჩქარის ნაბიჯით ვუახლოვდებით, როცა პოლიტიკურს ფალსიფიკაციას და უდიდეს ფალსიფიკატორს — რუსეთის თვითმპყრობელ ბიუროკრატიას — ანდერძს აუგებს პოლიტიკურად უფრო მომზადებული და გათვითცნობიერებული ხალხი.

## ვიბორგის მოწოდების საქმე.

მკითხველებს უეჭველია ეცოდინებათ, რომ პირველ სათათბიროს წევრების უმეტესობა, დათხოვნის შემდეგ, ფინლიანდიის ქალაქ ვიბორგში წავიდა, იქ მოილაპარაკეს და ხალხს მოწოდებით მიმართეს. ამისათვის მთავრობამ ყველა ის დეპუტატები, რომლებმაც ვიბორგში შედგენილ მოწოდებას ხელი მოაწერეს, პასუხის-გებაში მისცა. ამ წლის 12 დეკემბერს დაიწყო გარჩევა ამ საყურადღებო საქმისა. პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში პირველ სათათბიროს ას სამოცი წევრი შეიკრიბა ყოფილ თავმჯდომარის, ს. ა. მურომცევისა და პრეზიდიუმის მეთაურობით. სასამართლო სავსე ყოფილა ხალხით; საქმის გარჩევას მეორე და მესამე სათათბიროს დეპუტატებიც დასწრებიან. ბრალდებულთათვის განსაკუთრებული ადგილია დანიშნული: თვითოეულ სკამზე მიკრულია ბარათები, რომლებზედაც ამა თუ იმ დეპუტატის გვარი და სახელი აწერია. ბრალდებულებმა მოსძებნეს თავიანთი სკამები და დასხდნენ. როდესაც ყველანი დალაგდნენ, დარაჯებმა ყოფილი დეპუტატები რამიშვილი და ოკუნევი შემოიყვანეს. ბრალდებულნი მიესალმნენ დატუსაღებულ დეპუტატებს და გარს შემოეხვივნენ.

სასამართლოს თავმჯდომარეთ ყოფილა კრაშენინნიკოვი, წოდებათა წარმომადგენლებად კი პეტერბურგის თავად-აზნაურობის წინამძღოლი გრაფი გუდოვიჩი, საბჭოს წევრი განკოვი და მამასახლისი აბრამოვსკი. ბრალმდებელად ზიბერია დანიშნული.

სხდომის დაწყებისთანავე, ბოქაულს წაუკითხავს გვარები იმ დეპუტატებისა, რომელნიც სასამართლოში არ გამოცხადებულან. აი მათი გვარები: აივაზოვი, ბიჩკოვი, ვინავერი, ვიროვოი, გომართელი, ერმოლაევი, მუხანოვი, სმირნოვი, ტუნკუსოვი, შარკოვი, შოლპი და შუვალოვი. ამათგან მუხანოვი და შარკოვი უკვე გარდაიცვალნენ. როდესაც ბოქაულმა გარდაცვალებულ დეპუტატების გვარები წაიკითხა, ყველა ბრალდებულნი ფეხზე წამოდგნენ. ამის შემდეგ დაიწყო გამოკითხვა ბრალდებულთა; ეკითხებოდნენ წლოვანებას, სახელს, გვარს, იმას, თუ რა ხელობისაა თვითოეული მათგანი და მიიღეს თუ არა საბრალმდებლო ოქმის კოპიო და მოსამართლეთა სია. როდესაც ჯერი მურომცევზე მიდგა და ბოქაულმა იმისი გვარი ამოიკითხა, ყველა ბრალდებულნი ფეხზე წამოდგნენ.

— სერგეი ანდრიას ძე მურომცევი, **57** წლისა, სტატსკი სოვეტნიკი, მოსკოვის უნივერსიტეტის ორდინარი პროფესორი,—უპასუხა ხმა მაღლა და გარკვევით მურომცევმა.

— საბრალმდებლო ოქმი და მოსამართლეთა სია მიიღეთ?

— საბრალმდებლო ოქმი და მოსამართლეთა სია მივიღე, მაგრამ დღევანდელ სასამართლოს შედგენილობა კი არ ვიცი.

— ხომ არ გინდათ ვინმე გადააყენოთ?

— არა... მე მინდა მხოლოდ ვიცოდე ვინ მასამართლებს.

თავმჯდომარე კითხულობს მოსამართლეთა სიას, მურომცევი მადლობას უცხადებს. ტესლენკომ და სოკოლოვმა დამცველთა სამი სია წარადგინეს. ყველაზე გრძელი სიაა კადეტებისა. ამ სიაში, სხვათა შორის, მაკლაკოვიც არის შეტანილი. სოციალ-დემოკრატებმა დამცველებად აარჩიეს მურავიოვი, სოკოლოვი, ბარტი და ხომენტკოვსკი.

ამის შემდეგ დაიწყო საბრალმდებლო ოქმის კითხვა. როდესაც მდივანმა კითხვა გაათავა, თავმჯდომარე შეეკითხა სათითაოდ ყველა ბრალდებულს, აღიარებთ თქვენ თავს დამნაშავედ თუ არაო? თავისი თავი დამნაშავედ არც ერთმა ბრალდებულმა არ იცნო.

მეორე დღეს, სხდომის განახლების დროს, ბევრმა დეპუტატმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ მიაჩნიათ თავიანთი თავი დამნაშავედ, ან რათ წავიდნენ ვიბორგში და რათ მიმართეს მოწოდებით ხალხს. „მე ხელი მოვაწერე ვიბორგის მოწოდებას,—სთქვა კოკოშკინმა,—მაგრამ დამნაშავედ მაინც ვერ აღვიარებ ჩემს თავს. ის დოკუმენტი, რომელსაც სახელად ვიბორგის მოწოდება ჰქვიან, მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ დიად ბრძოლისა, რომელიც ძველსა და ახალ წესწყობილების შორის არის გამართული. ჩვენ ხალხის წარმომადგენლები ვიყავით, ამაზე უფრო მეტი,—ჩვენ **პირველი** წარმომადგენლები ვიყავით რუსეთისა. ხალხი ჩვენ შემოგვყურებდა, ხალხი ჩვენგან მოელოდა ხსნას, და ეს გარემოება კი [illegible] გვადებდა კისერზე. ჩვენ არ გვეშინოდა ამ პასუხისმგებლობისა, რადგანაც [illegible] განახლებისა და ხალხის ბედნიერების მოსურნენი ვიყავით. როდესაც კონსტიტუციონურ სახელმწიფოში კონსტიტუციას არღვევენ, პასიური წინააღმდეგობა კონსტიტუციონური აქტია, და არა ანარქიული და ანტი-სახელმწიფოებრივი. ამ თვალსაზრისით, ჩვენ დამნაშავენი არა ვართ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობის დროს ძალიან ხშირად დამნაშავედ დამარცხებული გამოდის ხოლმე, მაგრამ ჩვენ ამ გარემოებისა არ გვეშინიან, რადგანაც ჩვენი ტანჯვა ერთი წვეთია შედარებით იმ ტანჯვასთან, რომელსაც მთელი რუსეთი განიცდის; მე უფრო მეტს ვიტყვი: არარაობაა ჩვენი სასჯელი შედარებით იმ სასჯელთან, რომელიც მოგვაყენა მთავრობამ იმით, რომ რუსეთის განახლებაში ხელი შეგვიშალა და იმედები დაგვიკარგა.“

კოკოშკინის სიტყვას ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ყველაზე. დაახლოვებით ასეთისავე შინაარსის სიტყვები წარმოსთქვეს სხვა დეპუტატებმაც, რომელთა სიტყვებსაც, უადგილობისა გამო, ვერ მოვიყვანთ.

სასამართლომ ორი დეპუტატი ახტიამოვი და დიაჩენკო გაამართლა, დანარჩენი 167 წევრი კი დამნაშავედ იცნო და სამი თვით დატუსაღება მიუსაჯა.

## ახალი ამბავი

✦ **ბიუროკრატიულ წრეებში.** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და შემდეგ ტფ. სამრევლო საეკკლესიო სკოლების მეთვალ-ყურედ ნამყოფი ნ. გ. ტატიშვილი დროებით დაუნიშნავთ კავკასიის მიწათ-მოქმედების ინსპექტორად, ხოლო ინსპექტორი ბ-ნი ვასილიევი—მიწათ-მოქმედების რწმუნებულად კავკასიაში, რადგან რწმუნებული მედვედევი პეტერბურგშია გაწვეული. როგორც ამბობენ, ბ-ნ მედვედევს სხვა რაღაც დიდ თანამდებობას აძლევენ.

✦ **სკოლების მეთვალ-ყურე.** სამრევლო-საეკკლესიო სკოლების საოლქო მეთვალ-ყურედ, დეკ. ვოსტორგოვის ნაცვლად, დაუნიშნავთ საეპარქიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი პატრიოტულ საზოგადოების წევრი ცნობილი ოდოევი. წინად ამბობდნენ, ამ თანამ-

## ფელეტონი

### ორიოდე სიტყვა ფილოსოფიურ მატერიალიზმის შესახებ

(დასასრული *)

### IV

ჩვეულებრივად მატერიალისტები ძალიან ცდილობენ ხოლმე ფიზიოლოგია თავის თეორიის დასასაბუთებლად გამოიყენონ, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ თვით ფიზიოლოგიის არავითარი სურვილი არა აქვს მატერიალიზმს დაუმეგობრდეს. ამიტომ სულ ამაოა რიხითა და ზეიმით მტკიცება იმისი, ვითომც თანამედროვე მეცნიერება და მათ შორის ფიზიოლოგია მატერიალისტურ ნიადაგზე იდგეს. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ფიზიოლოგები. აი, რას ამბობს ამის შესახებ ცნობილი ფიზიოლოგი კლოდ ბერნარი: „ყოველგვარი ახსნა სიცოცხლისა, რომლებიც თავის ფორმით საშინლად განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთისაგან, და ყველა ჰიპოტეზები სიცოცხლის შესახებ შეიძლება ორ ტიპად გაიყოს: ერთი ფორმა ან ტენდენცია სპირიტუალისტურია, ანიმისტური, ან ვიტალისტური, მეორე კი მექანიკური. ჩვენ წინდაწინვე ვიტყვით, რომ **მეცნიერება არც ერთს სისტემას ემხრობა და არც მეორეს და, როგორც ფიზიოლოგი, ჩვენ ვალდებულნი ვართ უარვყოთ როგორც ვიტალისტური, ისე მატერიალისტური ჰიპოტეზები**. „ეს სპირიტუალისტური და მატერიალისტური დოქტრინები შეიძლება განხილულ იქმნან ფილოსოფიაში; მაგრამ მათ არავითარი ადგილი არა აქვთ ფიზიოლოგიაში, რომელიც ცდაზე უნდა იყოს დამყარებული; ეს დოქტრინები არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანენ, რადგანაც ფიზიოლოგის ერთად-ერთ კრიტერიად ცდა მიაჩნია“. „ფიზიოლოგს არ უნდა ვკითხოთ, სპირიტუალისტია ის, თუ მატერიალისტი სწორედ ისევე, როგორც არავინა ჰკითხავს ამის შესახებ მათემატიკოსს, ფიზიკოსსა და ქიმიკოსს“.[1]) „ის ჰიპოტეზები,—ამბობს მეორე ფიზიოლოგი, ბუნგე,—რომლებზედაც ემყარება მექანიკური ახსნა ბუნებისა, ატომიური ჰიპოტეზა, თეორია ტალღისებურ მოძრაობისა, სითბოს მექანიკური თეორია და სხვ. არის **მეტაფიზიკური** მსჯელობა, ე. ი. ისეთი მსჯელობა, რომლის შემწეობითაც აზრათა აქვთ შეიცნონ არსება საგნებისა იმნაირად, როგორც არსებობს სინამდვილეში, და არა იმნაირად, როგორც ჩვენ გვეჩვენება.“ [2])

კიდევ აურაცხელი ციტატები შეგვეძლო მოგვეყვანა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორა სტყუიან მატერიალისტები, რომლებსაც ირწმუნებიან, ფიზიოლოგია მატერიალისტურ ნიადაგზე სდგასო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

მატერიალისტები, რომ უფრო მეტი ფასი და ვითომდა მეცნიერული მნიშვნელობა მისცენ თავიანთ თეორიას, ბეჯითად ირწმუნებიან, რომ მთელი ორგანიული ცხოვრება, მთელი სიცოცხლე შემდგარია ისეთისავე მექანიკურ პროცესებისაგან, როგორც არა ორგანიული, ფიზიკო-ქიმიური მოვლენებიო. თავის თავად ცხადია, რომ მექანიკური ახსნა მოვლენებისა ჯერ კიდევ არა ნიშნავს მატერიალისტურს ახსნას, მაგრამ პირველი კი მეორისაგან აუცილებლად გამომდინარეობს. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველა მატერიალისტები, მათ შორის ლიუდოვიგ ბიუხნერიც, მექანიკურ ახსნის მომხრეთ გამოდიან.

ყველა მოვლენები, რომლებიცა ხდება მცენარეთა და ცხოველთა განვითარების დროს, უნდა ჩაითვალოს თუ არა მექანიკურ პროცესად? ამ კითხვაზედ აი რანაირ პასუხს იძლევა ი. რეინკე: „მეცნიერებაში არსებობს მიმართულება, რომელიც დაუფიქრებლად ამტკიცებს, შეიძლებაო... მე კი მგონია, რომ შინაგანი იმპულსები ამა თუ იმ ფორმის შექმნისა და განვითარებისთვის, რომლისაგანაც მცენარისა და ცხოველის აგებულება არის დამოკიდებული, ვერას გზით ვერ აიხსნება მექანიკურ ძალთა შემწეობით.“ [1]).

ცხოვრების მოვლენათა მექანიკურ ახსნის მომხრენი ირწმუნებიან, რაც უფრო ვითარდება მეცნიერება, მით უფრო ადვილი ხდება ყველა მოვლენათა მექანიკური ახსნაო. მაგრამ, თუ მეცნიერებას ყურს დავუგდებთ, ჩვენ წინააღმდეგს პროცესს დავინახავთ. ახალმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ ის, რაც წინათ უბრალო ფიზიკო-ქიმიურ თვალ-საზრისით შეგვეძლო აგვეხსნა, ეხლა ისეთს თვისებებს იჩენს, რომ მათი მექანიური ახსნა ყოვლად შეუძლებელი ხდება. საჭიროთა ვრაცხავ ეხლავე განვაცხადო, რომ მე სრულიადაც არ ვემხრობი იმ მიმართულებას ბუნების-მეტყველებაში, რომელსაც წინად ვიტალიზმი ერქვა და ეხლანდელ დროში კი ნეო-ვიტალიზმი, და რომელიც ამბობს, რომ ცხოვრების პროცესებს უმისოდ ვერ გავიგებთ, თუ არ ვაღიარებთ, რომ ამისთანა პროცესებში არსებობს განსაკუთრებული რაღაც ისეთი, როგორიც არა ორგანიულ მოვლენებში არ იმყოფება და რომელიც ორგანიულ ცხოვრებას განსაკუთრებულ ელფერსა და დანიშნულებას აძლევსო; მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან თვალები დავხუჭოთ და განზრახ არ დავინახოთ მრავალი ისეთი მოვლენები ორგანიულ ცხოვრებაში, რომელთა ახსნაც მექანიკურად ყოვლად შეუძლებელია.

ჩემს თავს ნებას მივცემ და მოვიყვან რამდენსამე მაგალითს იმის დასამტკიცებლად, თუ რა-გვარი სიცოცხლის ნიშნები ემჩნევა იქ, სადაც წინად უბრალო ქიმიურსა და მექანიკურ პროცესებსა ხედავდნენ. დიდ ხანს ფიქრობდნენ, მაგალითად, რომ „საწელის“-ს (Кишечникъ) მიერ საჭმლის ჩაყლაპვა დიფუზიისა და ენდოსმოსის კანონებს უნდა დაემორჩილოსო. მაგრამ ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. აღმოჩნდა, რომ საწელის კანს გარს არტყია ეპითელიალური უჯრედები და რომ თვითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელს ორგანიზმს, რომელიც თავის საკუთარის ცხოვრებითა ცხოვრობს.[2])

საყურადღებოა აგრეთვე გამოკვლევანი ცენკოვსკისა, რომელმაც **gampyrella spiroqyrae** გამოიკვლია და აღმოაჩინა, რომ ეს არის მეტის-მეტი პატარა, მიკროსკოპიული უჯრედი, რომელიც ვარდის-ფრად არის შეღებილი. ეს უჯრედი გასაკვირველ სიცოცხლის ნიშნებს იჩენს, საზრდოობს განსაზღვრულის მიკრო-ორგანიზმით, რომელსაც სპირორიგირი ჰქვია, და სხვა საზრდოს საშინლად გაურბის. ცენკოვსკის არც ერთხელ არ შეხვედრია ისეთი შემთხვევა, რომ ზემოდ დასახელებულ უჯრედს სხვა რომელიმე საჭმელი მოეძებნოს. მეორე წარმომადგენელი ამ გვარ ცხოველებისა, **Compodella pugnax**, იმავე ცენკოვსკის სიტყვით, განსაკუთრებით **Chlamydomonas**-ით საზრდოობს. „ქცევა ამ ცხოველებისა ისეთი გასაოცარია,—დასძენს ცენკოვსკი,—კაცს ეგონება გონიერს არსებასთან აქვს საქმეო“. აი რას ამბობს ამავე საგნის შესახებ მეორე ცნობილი ფიზიოლოგი პიზონი: „ამის გამო ეპითელიის უჯრედში ყველანაირი ნივთიერება კი არ შედის, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც პროტოპლაზმის საცხოვრებლად არის საჭირო. პროტოპლაზმა თითქოს არჩევს თავისთვის სასარგებლო, საჭირო ნივთიერებას და, მაშასადამე, **აქ პირდაპირ უბრალო ოსმოსი კი არა ხდება, არამედ მეტად რთული ბიოლოგიური პროცესი.**“ [3])

კიდევ აურაცხელი მაგალითები შეგვეძლო მოგვეყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ ძალიან ხშირად იქაც კი, სადაც პირველის შეხედვით მექანიკურის პროცესის მეტი არაფერი არსებობს, სიცოცხლის ნიშნები გამოსჩანს ხოლმე. მიკროსკოპიული ორგანიზმები ხანდისხან ისეთს აქტიურ თვისებებს იჩენენ ხოლმე, რომ ადამიანი გაშტერებული დადგება ამისთანა მოვლენების წინ და გაკვირვებული ეკითხება თავის თავს: „ნუ თუ შესაძლებელია, რომ აქაც სიცოცხლე იყვესო!“ ამიტომ შემცდარია ის აზრი, ვითომც თანდათან ყველა მოვლენათა მექანიური ახსნა ადვილი ხდებაო.

„ეს (მექანიკა ატომებისა), ხიმერიული იდეალია, რომელიც პოპულიარულ ლექციების პროგრამაში ეფექტს ახდენს, —ამბობს გამოჩენილი მეცნიერი ახალი დროისა, მახი—სერიოზულ მკვლევარის სამუშაო ოთახში კი მას ადგილი არ უნდა ჰქონდესო“.

მაგრამ ორგანიულსა და არა ორგანიულ მოვლენებს შორის განსხვავება ხომ არსებობს? ამას არ უარჰყოფს ვუნდტიც, რომელიც ცდილობს, რომ არა ორგანიულ და ორგანიულ მოვლენების განსახილველად საერთო საზოგადო პრინციპები მოგვცეს. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? ვიტალისტი გვეუბნება, რომ ამ განსხვავებას ჰქმნის განსაკუთრებული „მაცოცხლებელი ძალა“, რომელიც მხოლოდ ორგანიულ მოვლენების დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს. ეს

*) იხ. „ისარი“ № 280.

[1] იხ. **Клодъ Берниръ: „Опредѣленіе жизни и задача физіологи“**, თავი II.

[2]) იხ. Г. Бунге: „физіологія человѣка“, II გვ. 10.

[1]) იხ. І. Рейнке: „Сущность жизни“, изъ книги „Міръ, какъ дѣяніе“, თავი V.

[2]) იხ. Бунге «Учебникъ физіологіи человѣка», глав. „идеализмъ и механизмъ“.

[3]) იხ. А. Пизонъ: „Человѣкъ и животный міръ“. გვ. 363.

ღებობას სულ აუქმებენო, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა.

✦ **ყუმბარების შედეგი.** უკვე ავღნიშნეთ, რა შედეგი მოჰყვა იმ ყუმბარას, რომელიც 17 დეკემბერს ავჭალისა და ანდრეევის ქუჩების შესართავთან გადაგდეს. ანდრეევის ქუჩაზე ყუმბარამ ისე ძლიერ იფეთქა, რომ მთლად ჩალეწა ფანჯრები ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილების ორ სართულიან სახლისა. ფანჯრები ჩაიმტვრა აგრეთვე სხვა სახლებშიაც კარგა დიდ მანძილზე. ადმინისტრაციის განკარგულებით, დაკეტა რამდენიმე სავაჭრო დაწესებულება. საავადმყოფოს განყოფილება ისე დაზიანდა, რომ 18 დეკემბერს მუშაობა და ავადმყოფების მიღება შეუძლებელი გახდა. გუშინ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა სამკურნალოს სადგომი. უკვე შეუდგნენ შეკეთებას.

✦ **ვაჭართა გაზეთი.** წვრილ ვაჭართა კავშირს აზრადა აქვს მომავალი იანვრიდან გამოსცეს საკუთარი გაზეთი.

✦ **კედლის კალენდარი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო საინტერესო კედლის კალენდარი, გამოცემული „შრომის" ამხანაგობის სტამბის მიერ. კალენდარი კოხტად არის გამოცემული და საინტერესოდ შედგენილი. კალენდარში მრავალი ცნობაა მოთავსებული. ღირს შვიდ შაურად.

✦ **წარმოდგენა.** კვირას, 23 დეკემბერს, „რენესანსის" თიატრში (ნემეცების ბაღი) ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „ყომარბაზის ცხოვრება", დრამა 5 მოქ. თარგ. ა. ბაჟიაშვილისა.

✦ **ლექცია.** დღეს, საღამოს ექვს საათზე, ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის ზალაში (ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე) ილია ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულად ლექციას შემდეგ საგანზე: „ამერიკელი მწერალი ჰენრი ჯორჯი მიწის საკითხის შესახებ". ადგილების ფასი 50—10 კაპ.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** ხვალ, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად, პროფ. ალ. ხახანაშვილი დაიწყებს ლექციების კითხვას შემდეგის პროგრამით: „1. მიმოხილვა მასალებისა ქართულ მწერლობის ისტორიის შესახებ; 2. ქართველების ენა და ცხოვრება; 3. სიტყვიერ შემოქმედების ნაწარმოები; 4. განწირულთ მწერლობის ნაწარმოები; 5. სასულიერო მწერლობა; 6. ორი მიმართულება ძველ ქართულ სიტყვიერებაში; 7. შავთელი და ჩახრუხა; 8. ამირან-დარეჯანიანი და დილარიანი; 9. „ვისრამიანი; 10 და 11. რუსთველი".

✦ **მატარებლის გადავარდნა.** 18 დეკემბერს დილა ადრიან ალაბაშლისა და შამხორის შუა ტფილისიდან მიმავალი საფოსტო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. მიზეზი ის იყო, რომ ვიდაცას ლიანდაგი გაუფუჭებია. გადავარდნილა ერთი საქონლის და შვიდი სამგზავრო ვაგონი. ორთქლმავალი და ერთი ვაგონი დანარჩენებს მოსწყვეტია და წასულა წინ, მაგრამ ისიც გადავარდნილა. მძიმედ დაშავებულა ფოსტის მოხელე, ორი კონდუქტორი და სამი მგზავრი. რამდენიმე კაცი მსუბუქად დაშავებულა.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** 18 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, პოლიციის მე 9 ნაწილის გოროდოვოი ბურნიჩევი „პოსტზე" წასულა მორიგე ამხანაგის გამოსაცვლელად, მორიგე პოლიციელი ეგოროვი მთვრალი ყოფილა, რის გამო ბურნიჩევს მასხარობა დაუწყია. ეგოროვს გაუფრთხილებია: ნუ დამცინი, თორემ ეხლავ გაგათავებო, მაგრამ ბურნიჩევს თავისი არ მოუშლია. მაშინ ეგოროვს უსროლია და ბურნიჩევი მოუკლავს.

✦ **რედაქტორის საქმე.** მაისში ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა გაზეთ „მეგობრის" რედაქტორის გ. რცხილაძის საქმე. რედაქტორს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დებულების მე 129 მუხლის ძალით. პალატამ, წოდების წარმომადგენელთა თანდასწრებით, რედაქტორი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა. ეს განაჩენი განსაჩივრებულ იქმნა პალატის პროკურორის მიერ სენატში. ეხლა სენატის საკასაციო დეპარტამენტს პალატის განაჩენი გაუუქმებია და საქმე უკან დაუბრუნებია ხელახლა განსახილველად. სენატს გაუუქმებია აგრეთვე პალატის განაჩენი ჩერქეზიშვილს საქმეზე. ჩერქეზიშვილს ბრალი ედებოდა მე-102 მუხლის ძალით. ისიც გაამართლა პალატამ, ხოლო ეხლა ხელმეორედ განიხილება საქმე.

✦ **დღეს, 20 დეკემბრისათვის დანიშნულია ტფ. საბჭოს 17 დეკემბრის სხდომის გაგრძელება დარჩენილ საქმეების განსახილველად.**

✦ **18 დეკემბერს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები გიორგი გამრეკელი, რომელსაც ალექსეევის ქუჩაზე ბოროტმოქმედები დაედევნენ და სასიკვდილოდ დასჭრეს.**

✦ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სასწრაფო ბიუროს საქმეები ძალიან აწეწილ დაწეწილია. ბიუროს მდგომარეობის შესწავლა და მოხსენების სამეურნეო საზოგადოების საბჭოში წარდგენა დაევალა საზოგადოების ხაზინადარს ა. ევანგულოვს.

✦ 18 დეკემბერს ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ ჩხაიძეს მურავიოვის ქუჩაზე სახლში შევარდნია 4 შეიარაღებული კაცი და ფული მოუთხოვნია. სახლობას ხმაურობა აუტეხია და უცნობნი მიმალულან.

✦ 18 დეკემბერს პოლიციამ აღმოაჩინა ერთი ქურდი მეეზოვე ივანე ბადდასაროვი, რომელსაც ჰბრალდება სხვებთან ერთად ზაქარია პეტრუზოვის მაღაზიიდან 500 მან. ნივთების მოპარვა.

✦ 18 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა საგარეჯოს მცხოვრები საქულ პეტრუზოვი, რომელსაც რევოლვერი უნახეს.

✦ სერგო ფარსადანოვმა 18 დეკემბერს პოლიციას განუცხადა: ამას წინად სახლში შემომეპარნენ პატარძეულის მცხოვრებნი მიშო ზუკიშვილი, გიორგი გოჩიტაშვილი, იასონ ბოჭორიძე და ისაკ სუხაშვილი და 100 მან. ნივთები მომპარესო. მოხსენებული პირნი დააპატიმრეს.

✦ გუშინ წინ ტფილისში მცხოვრებმა გერასიმე გულნაზაროვმა პოლიციას განუცხადა: ამ ხუთი დღის წინად დამე მუხრანსკის ქუჩაზე მივდიოდი. თავს დამეცა ხუთი შეიარაღებული კაცი და მუქარით ფული მომთხოვაო. როცა უარი მიუღიათ, მძარცველებს წაუქცევიათ იგი და მაღლზე უცემიათ.

✦ 18 დეკემბერს კათოლიკების ქუჩაზე ნ. არგუთინსკი-დოლგორუკოვის სახლიდან ქურდებს 360 მან. ნივთები გაუტანიათ.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებლების ადმინისტრაციამ 17 დეკემბერს გამოაკრა განცხადება, რომლითაც აუწყებს იმ მოსწავლეთ, რომელნიც გაფიცვის ნიშნად გიმნაზიაში არ დაიარებიან (მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასის მოწაფეები), რომ თუ 18 დეკემბერს არ გამოცხადდებიან, დათხოვნილად ჩაითვლებიან, ხოლო კლასები დახურულად. თუ ეს მოწაფენი კვლავ მოინდომებენ სასწავლებელში შესვლას, ისინი იქნებიან მიღებულნი გამოცდის შემდეგ. ეს განკარგულება, როგორც გავიგეთ, ოლქის მზრუნველს მოუხდენია.

✦ ექიმი ბაქრაძე, რომელიც წარსულ კვირას დასჭრეს ორ ადგილას, მძიმედ არ აღმოჩნდა დაჭრილი და ექიმებს მისი მორჩენის იმედი აქვთ. მიზეზი თავდასხმისა ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული.

✦ ის კომისია, რომელსაც შავის ქვის მრეწველთა კრების მიერ მინდობილი ჰქონდა მოსამსახურეთა შტატის განხილვა, უკვე შეუდგა საქმეს. კომისიას წინადადება შეუტანია, მრეწველთა კრების მოწვევამდე, ეკონომიის გულისათვის, შემდეგი ცვლილება შეიტანოს საბჭომ: 1. მოსიარულეთა სიმცირისა და იმის გამო, რომ იაფ-სასადილოების შენახვა მეტად ძვირად ჯდება, ჭიქოურის სასადილო დაიხუროს; 2. აეკვეთოთ შტეიგერებს ყოველ თვიური ჯამაგირი 150 მანეთი, რადგან მათ (შტეიგერებს) სამუშაო არა აქვთ; 3. დიდის ხნის სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, მოსიარულე ფერშალი სამსახურიდან დათხოვნილად იქნას აღიარებული, ხოლო იმის მაგიერ არავინ იქნას მოწვეული; 4. მიექცეს ყურადღება საავადმყოფოს გამგეებისა, უცხო პირთ არ ისარგებლონ უფასო წამლობით და წამლებით; 5. განკარგდეს საავადმყოფოში საოჯახო მეურნეობა ხარჯის შემცირების მიზნით; 6. მუშათა დაზღვევის საქმე გადაეცეს საბჭოს კანტორის გამგეს იმ აზრით, რომ გაუქმდეს ცალკე თანამდებობა ამ საქმისათვის, რასაც საბჭოს წევრი ასრულებს; 7. თავისუფალ ადგილზე საქმის მწარმოებლისა და ბუხჰალტერისა არავინ იქნას მოწვეული; 8. მკითხველთა სიმცირის გამო გაუქმდეს ჭიქოურის სამკითხველო და ამ სამკითხველოს დარაჯი გადაყვანილ იქნას ჭიათურის სამკითხველოში და სხვანი. საბჭო, ეჭვი არ არის, ასე თუ ისე გადასწყვეტს ამ საქმეს, მაგრამ ჩვენის მხრით არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ არსებულ კრიზისის ზედ-გავლენით სასადილოებისა და სამკითხველოების დახურვა მოჩქარებულად მიგვაჩნია. თუ სამკითხველო ან სასადილო ვერ არის წესიერად მოწყობილი და გაუმჯობესება ეჭირვება, ეს სხვა საქმეა.

### გლეხთა ახალი ამხანაგობა.

კახელ გლეხ-კაცის ცხოვრების უმთავრეს წყაროს მევენახეობა შეადგენს. ღვინის გაყიდვით უნდა დააკმაყოფილოს გლეხმა ოჯახის აუარებელი მოთხოვნილება და გაისტუმროს გადასახადები. ღვინო თუ მოვიდა და გაიყიდა, ხომ კარგი, და თუ არა და გაჭირება აუცილებელია. ასევეა, როცა ღვინოს ფასი არა აქვს, ან არ იყიდება.

კახური ღვინო ამ ბოლო დროს აღარ სასდება, აღარ იყიდება. ფასი თანდათან ეცემა, ბაზარიც ნელ-ნელა ისპობა. იმის ალაგს კახურ ღვინის სახელით იჭერს განჯის, ერევნის და სხვა მხრის ღვინო.

შარშან კახეთში დიდძალი ღვინო დარჩა გაუყიდავი. წელს, მოსავლის სიუხვისაგამო, ჩალის ფასი აქვს ღვინოს და მყიდველი მაინც არავინაა, ასე რომ კიდევ დიდ ხანს იქნება ქვევრ-მარანი სავსე, თუ ამას წამალი არ ედო და კახეთი გაჭირვებისაგან არ გამოვიდა. ამის ერთად ერთი ხსნა ღვინის ბაზარზე გატანაა, მწარმოებლის მომხმარებელთაგან პირდაპირი კავშირი და ნამდვილ კახურ ღვინის მიწოდება ხელ-საყრელ ფასად.

სწორედ ასეთი გზა აირჩიეს სოფელ წინანდლის გლეხებმა. ეს სოფელი ერთი უდიდესი სოფელია კახეთში თავის ზვრებით. ღვინო ხომ შესანიშნავი იცის. აი, ამ სოფლის გლეხებმა შეადგინეს ამხანაგობა; მოილაპარაკეს ამავე სოფლის მემამულეს თავ. მ. ზ. ჭავჭავაძესთან, შეთანხმდნენ და გადასწყვიტეს საკუთარის ღვინის სარდაფის გახსნა ტფილისში. ამნაირად შესდგა ჯერ-ჯერობით პატარა ამხანაგობა. შეიმუშავეს პირობები, პატარა წესდებასავით და ერთმანეთს შეეკვრნენ ნოტარიუსის წესით. ყველა წევრს ამხანაგობაში თანხად თითო ბოჭკა ღვინო შეაქვს (დანარჩენ ყიდვით), თანხას უკან ვერავინ მიიღებს, ღვინოს სამი ამორჩეული კაცი დააფასებს, მიღებულ ფულით დაიფარება მიმდინარე ხარჯი, დანარჩენ 80%-ს გაიყოფენ ურთი-ერთ შორის, 20%-კი დანხას მიემატება და სხვა. ეს პირობები დროებითია, ცილებულია ერთის წლით, შემდეგ გაფართოვდება. ღვინის სარდაფის მართვა-გამგეობა მარტივად იქნება მოწყობილი და თვით გლეხებივე იქნებიან შიგ, რასაკვირველია, სპეციალისტ-მეღვინის და მთავარ-გამგის კარდა, რომელთაც მოიწვევენ. სარდაფს სახელად „წინანდალი" ერქმევა და ამ ფირმის [illegible] ნოს თვით წევრები ჩაიტანენ ტფილისში რამდენადაც ეს [illegible] მათთვის.

გლეხები ისე არიან მოწადინებულნი და მხნედ შეუდგნენ საქმეს, რომ ეხლავე აპირობენ საქმის განხორციელებას. სამი წევრი უკვე გაემგზავრა ტფილისში სარდაფის დასაქირავებლად, რომელიც უნდა იყოს გამოჩენილ ადგილას, გოლოვინის პროსპექტის ახლო-მახლო. ამნაირად 1 იანვრიდან ტფილისში დაიწყებს ვაჭრობას გლეხთა ამხანაგობის ღვინის სარდაფი „წინანდალი".

„წინანდალი"-ს სარდაფში გაიყიდება ნამდვილი, შესანიშნავი კახური ღვინო და ამასთან იაფადაც, რადგან მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა ჩარჩ-სირაჯი არ იქნება ჩახხირული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის საზოგადოება და მასთან ერთად მშრომელთა წრე ძმურად გაუწვდის ხელს კახელ გლეხთა ამ ნორჩ ამხანაგობას და „წინანდალის" სარდაფში ვაჭრობით ხელს შეუწყობს. „წინანდალი"-ს წარმატებას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან შესაძლებელია სხვა სოფლის გლეხებმა წაჰბაძონ მათ.

**დამსწრებული.**

## პატარა ფელეტონი

### სასიხარულო ნიშნები

ამას წინად ქალაქ ბაქოსაკენ გავემგზავრე. ცივი, ქარიანი დარი იდგა. მატარებელი ხალხით იყო სავსე. ვაგონში ცხელი, სულის-შემხუთველი ოხშივარი ტრიალებდა. ისე გაეთბოთ ეს ვაგონი, რომ ყველას სულთქმა გვიჭირდა.

ყველამ მწარე გამოცდილებით კარგად ვიცით, რომ ჩვენ რკინის გზებზე ჩვეულებადაა შემოღებული შემდეგი ორი უკიდურესობა: ან მგზავრების გაყინვა, ან ცხარე გათბობა, რათა ადამიანს ტვინი აუდუღდეს და სავსებით გამორეტიანდეს. არა თუ მარტო გათბობას, ვაგონის სხვა მოწყობილობასაც აშკარად ატყვია ეს სამწუხარო უკიდურესობა. მაგალითად—ვაგონის ცნობილ პაწია სენაკის პირის საბან მოწყობილებაში ან სულ არ არის ხოლმე წყალი, ან ისეთ წყლით ავსებული, რომ პირის დაბანის მსურველს თავით ფეხამდის მძლავრად ესხურება და გასწუწავს.

არა თუ მარტო ვაგონის უსულო ხელსაწყოს, შიგ მოთავსებულ სულიერ არსებათაც, ესე იგი მგზავრებსაც ადვილად შეატყობთ თქვენ ამ უცნაურ უკიდურესობას, რომელიც, როგორც სჩანს, ჩვენი ცხოვრების ძირითად თვისებადაა გადაქცეული. მაგალითად, ჩემ გვერდითა და პირის პირ ორი მგზავრი იჯდა. პირის-პირელს რამდენჯერმე დაველაპარაკე და ყოველივე ამაოდ:—ერთი სიტყვაც არ გამოუცია ჩემდა პასუხად: მხოლოდ მშრალი „ჰო" და „არა"-თი მომიშორია თავიდან. იმისი გული და გონება სწორედ წყლისაგან დაცლილ ვაგონის პირისაბანს ჰგავდა. სამაგიეროდ, დაველაპარაკე თუ არა ჩემ გვერდით მჯდომს, ჩემ საპასუხოდ იმ წამსვე პირიდან ენა-წყლიანობის ისეთი მძლავრი შადრევანი აღმოჰხეთქა, რომ ვაგონის სავსე პირისაბანივით, თითქოს თავით ფეხამდის გამწუწა და კინაღამ სკამიდან არ წამომახტუნა.

ძლივს გავაჩერე ჩემი ცხარე და ხპასუხე მოსაუბრე. გულში გადავწყვიტე ამიერიდან უფრო ფრთხილად მოვეკიდებოდი იმას, სწორედ ისე, როგორც სავსე პირისაბანიდან მძლავრად წყალ-შესხურებული მგზავრი შემდეგ სიფრთხილეს იჩენს და მოწიწებით უკან წაწეული შორიდან უწვდის ხოლმე ხელებს პირისაბანის წყალ სადინარს.

ჩემი მოსაუბრე პარტიის კაცი აღმოჩნდა. ყბედების ჩვეულებისამებრ, იმან მალე გამამხილა ის, რასაც იმისი ამხანაგები საზოგადოდ მალავენ ხოლმე. მაგალითად, სხვათა შორის, გულ-წრფელად გამომიტყდა, ჩემი პარტიის კაცები ამ ბოლო დროს ცოდნის შეძენას სცდილობენ, სხვა და სხვა საგნებს სწავლობენ, ამიერიდან სურთ დინჯი საგძალით გამოვიდნენ ცხოვრების გზაზეო.

ამის გამგონემ ღმერთს მადლობა შევსწირე. ამ დროის სწორედ სასიხარულო ნიშნები დავინახე.

სად რა გაუკეთებია და აუშენებია უკო-

---

აზრი, რასაკვირველია, შემცდარია და თანამედროვე მეცნიერებამ უარ-ჰყო იგი. მაგრამ შემცდარად უნდა ჩაითვალოს აზრი ლიუდვიგ ბიუხნერისა, მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობის ცოტათ თუ ბევრად სერიოზულ მიმდევარისა, რომელიც ეკამათება მათ, ვინც „მაცოცხლებელ ძალას" აღიარებს, და ამტკიცებს, რომ ცხოვრების მოვლენები მხოლოდ იქ იჩენენ თავს, სადაც განსაზღვრული ცილების შეერთებანი (**бѣлковыя соединенія**) არსებობენ ხოლმე[4]) მაგრამ ბიუხნერი სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ ესეთი შეერთებანი სიკვდილის შემდეგაც არსებობენ ხოლმე. ცხოვრების მოვლენები მარტო ცილის არსებობით ვერ განიმარტებიან. ასეთი შემცდარი შეხედულება დაიბადა იმიტომ, რომ პროტოპლაზმის ქიმიური შედგენილობა სწორეთ ვერ გამოიკვლიეს. ამ კვლევაძიებამ, როგორც ი. რეინკე გადმოგვცემს, დაჰბადა რწმენა, რომ პროტოპლაზმა ცილისაგან შესდგება. რეინკე საქმის ვითარებას ამნაირად გვაცნობს. მცენარეთა და ცხოველებიდან გამოუყვიათ ცილიური ნივთიერებანი. ლღებ... ის ამ ნივთიერების პოვნა მხოლოდ ორგანიზმებში შეიძლება. ცილას განსაზღვრული ქიმიური თვისებები აქვს. ელემენტალურმა ანალიზმა აღმოაჩინა, რომ მასში არსებობენ ნახშირმბადი, წყალმბადი, მჟავმბადი, აზოტი და გოგირდი. ცილის გარდა ქიმიამ აღმოაჩინა მცენარეებსა და ცხოველებში კიდევ სხვა ნივთიერებანი, რომელთაგანაც უმთავრესებს დავასახელებთ. უპირველეს ყოვლისა—ქონები და უგლევოდები; უკანასკნელს ეკუთვნის შაქარი, კრახმალი, გლიკოგენი და უჯრედი. ქონები, მსგავსად უგლევოდებისა, შესდგებიან ნახშირმბადისა, წყალმბადისა და მჟავმბადისაგან. ყველა ამ ნივთიერებასთან ერთად იმყოფება სხვა და სხვა უმნიშვნელო ნივთიერებანი, როგორიცაა, მაგალითად, ლეციტინი, რომელიც ნახშირმბადის, წყალმბადის და მჟავმბადის გარდა, კიდევ აზოტისა და ფოსფორისაგან შესდგება. და აი, წინაღმდეგ ამისა, დაიწყეს მტკიცება, რომ უჯრედის პროტოპლაზმა მხოლოდ ცილისა და წყლისაგან შესდგებაო. თვითონ რეინკემ სოკოს პროტოპლაზმიური მასა განიხილა და აღმოაჩინა, რომ სამი მეოთხედი წყალს შეჰქრავს, ერთი მეოთხედი კი მშრალს ნივთიერებას. აქედან კი ცილას ძალიან პატარა პროცენტი უჭირავს. მაგალითად:

| | |
|---|---|
| პროტეინი, რომელიც ფოსფორს შეიცავს, შეადგენს | 40% |
| ცილა და პეპსინი | 15 „ |
| ურეიდი, ნახშირ-მჟავე ამმონი, ასპარაგინი და ლეციტინი | 2 „ |
| უგლევადი (შაქარი და გლიკოგენი ერთად) | 12 „ |
| ქონები | 12 „ |
| ხოლესტერინი | 2 „ |
| ფისი | 1,5 „ |
| სხვა და სხვანაირი კირები | 0,5 „ |

ფოსფორო—მჟავე და სხვა და სხვა არა ორგანიული მარილი—6,5. გამოსწორებით გამოურკვეველი ნივთიერებანი—6,5.

აი, რანაირი მრავალ ფეროვანია შემადგენლობა იმ პროტოპლაზმისა, რომელიც ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც ცილა და წყალი. ყველა ამ გამოკვლევების შემდეგ რეინკეს მეტად საყურადღებო დასკვნა გამოჰყავს. „როგორც არ არსებობს განსაკუთრებული „მაცოცხლებელი ძალა",—ამბობს რეინკე,—სწორეთ ასევე არ არსებობს განსაკუთრებული მაცოცხლებელი ნივთიერება". წინაღმდეგ ლიუდვიგ ბიუხნერისა, რეინკე ამტკიცებს, რომ ცხოვრება სრულიადაც არ არის განსაკუთრებული ქიმიური შეერთება ან ჯგუფი შეერთებისა*)

ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ აქტივობა, რომელიც ცხოვრების განსაკუთრებულ, დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს, მიკროსკოპიული ორგანიზმებიც კი იჩენენ; ისეთი ორგანიზმები, რომელთა ქიმიურ შედგენილობაზედაც მეცნიერებამ ხშირად არაფერი არ იცის. ჩვენ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ის აზრი, ვითომც ორგანიულ ცხოვრებას რაღაც განსაკუთრებული ძალა ამოძრავებდეს, შემცდარ აზრად მიგვაჩნია. მაგრამ არ შეგვიძლიან ამასთანავე ერთად არ ვაღიაროთ, რომ ორგანიული ცხოვრება განსხვავდება არა ორგანიულ ცხოვრებისაგან. ლიუდვიგ ბიუხნერი ამტკიცებდა, რომ მაცოცხლებელ ნივთიერებად უნდა ჩაითვალოს ცილა, რომელიც განსაზღვრულ ქიმიურ ურთი-ერთობაში შედის სხვა ქიმიურ ელემენტებთანა და სიცოცხლეც აქედან წარმოსდგებაო, მაგრამ ასეთი აზრი, როგორც მკითხველმა უკვე იცის, შემცდარ აზრად უნდა ჩაითვალოს. მაშ რაში მდგომარეობს განსხვავება ორგანიულსა და არა ორგანიულ ცხოვრების შორის? იმაში, რომ ორგანიულ ცხოვრებაში ჩვენ აქტივობას ვხედავთ მაშინ, როდესაც არა ორგანიულ ცხოვრებას ასეთი აქტივობა არ ეჩნევა. რა არის მიზეზი ორგანიულ ცხოვრების აქტივობისა? ეს ჯერ კიდევ საიდუმლოებას შეადგენს, და დავა იმის შესახებ, თუ რა ამოძრავებს და რა აძლევს ნიშნობლივ თვისებებს ორგანიულ ცხოვრებას,—„მაცოცხლებელი ძალა", თუ „მაცოცხლებელი ნივთიერება (ცილა)",—ორივე ერთი და იმავე ღირსების უქმი წყლის ნაყვაა.

**არ. ჯ—შვილი.**

---

[4]) ს. А. Бюхнеръ: „Сила и матерія", გვ. 253.

*) ვისაცა სურს დაწვრილებით გაეცნოს ამ საკითხს, წაიკითხოს ფრიად საყურადღებო წიგნი რეინკესა „Сущность жизни"-ს სათაურით. ეს წიგნი ნაწილია უფრო დიდი შრომისა, რომელსაც სახელად ჰქვიან „Міръ какъ дѣяніе".

დინარობასა და უვიცობას, რომ ჩვენ გაგვაკეთოს და აგვაშენოს. როგორც მამლის მჭახე ყიყლიყო ქვეყანას ვერ ააშენებს, ისე უვიც ადამიანის მყვირალა აგიტაცია და პროკლამაცია ვერაფერ ხეირს დაგვაყრის და ჩვენ მოუწყობელ ცხოვრებას ვერ მოაწყობს.

მაგალითად, ამას წინად ერთმა უვიცმა „წყაროს“ მწერალმა ქვეყანას აუწყა ჩემი რუსული წერილიდან ამოკვებული ერთი ადგილის თარგმანი. მე ვწერდი რუსულად, რომ ესა და ეს პარტია დაბალ ხალხზე მოშორებული იყო და აზროვნების არისტოკრატიას წარმოადგენდა მეთქი. რუსული ენის მცოდნე გაიგებდა, რომ სიტყვა დაბალი აქ ჩვეულებრივად, და არა ხალხის საგინებლად იყო ნახმარი; პარტიის „არისტოკრატიზმი“ კი ამ პარტიის სისუსტედ იყო აღიარებული.

„წყაროს“ პუბლიცისტმა კი რუსული სიტყვა დაბალი,—„НИЗЫ“, „ნაძირალებად“ გადათარგმნა, რასაც რუსულად „ПОДОНКИ“ ჰქვია, და ქვეყანას აუწყა, ილია ნაკაშიძემ ხალხი გაგვილანძღა და თავისი არისტოკრატიზმით ამაყობსო.

გულით შევცოდა რუსული ენის უცოდინარი „წყაროს“ მწერალი და სიამოვნებით მიუტევებ დანაშაულს და ჩემი გაცილისწამების სურვილს, თუ იგი დროზე რუსული ენის შესწავლას შეუდგება.

დღემდის თუ მყვირალა და ქედ-მაღალი უვიცობა ხალხის მოძრაობის სათავეში იდგა, მწარე სიამოვნებით სინამდვილემ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ იმის შემწეობით დღე ფონს ვერ გავალთ.

ამიტომ, თუ დამიჯერებენ, გულ-წრფელად ვურჩევ იმ პარტიის კაცებს, რომელნიც ამ ბოლო დროს ცოდნის შეძენას შეუდგნენ, ხშირად გადაშალონ ძოლმე ებრაელთა სიბრძნის კრებული „თალმუდი“ და იქ მოთავსებული შემდეგი ადგილი დაიზეპირონ.

„როგორც ცის ნამი მაღალ ქედებს გაურბის და დაბლა ბარში იკრიბება, ისე ღვთიური ჭეშმარიტებაც თავ მომწონე უვიცებს ხელიდან უსხლტება და თავმდაბალთა გულში ეძებს სადგურს“.

**ი. ნაკაშიძე.**

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ფოთი.** არ იქნა და არ ეშველა აქაურ უმუშევართა და შავი-ქვის მომუშავეთა უთანხმოებას. თუმცა ამას წინად შავი ქვის მუშებმა კვირა უქმე დღეები დაუთმეს ჭიათურიდან ჩამოსულ და ადგილობრივ უმუშევართ მუშებს, მაგრამ ეხლა კიდევ სხვა გარემოებამ იჩინა თავი. ვინც ცოტად თუ ბევრად დაინტერესებულია მუშათა ბედ-იღბლის საქმეში, იმას უთუოდ ეხსომება მედიატორეთა გადაწყვეტილება, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ისარის“ მე-24 ნომერში. უნდა აღვნიშნო, რომ მედიატორეებმა უოველი ზომა მიიღეს სიმართლის აღდგენისათვის და მათი შრომაც უნაყოფოდ არ ჩაივლიდა, რომ მეორე მხარე (ძველი მუშები) დათანხმებული ყო. წარსულის აღწერა შორს წაგვიყვანს. გაცნობ მკითხველს იმას, რაც ახლო-ხანში მოხდა.

ხმა გავრცელდა, რომ ფოთში გამოემგზავრა ჩიქოვანი თავის მუშებით და ტოლმაჩოვის მოწერილობით, რომ მან უნდა ჩაიბაროს შავი ქვის მუშაობაო. ეს მართალი გამოდგა გაიგეს თუ არა ეს გარემოება ადგილობრივმა უადგილოდ დარჩენილმა მუშებმა, მაშინვე ჩიქოვანის მუშებს შეუთვალეს: ჭერ-ჭერობით შავ ქვაზე მუშაობა შეწყვეტილია, ხოლო როცა დაიწყება მუშაობა, უპირველესობა ჩვენ გვეკუთვნისო. ეს გარემოება არც ძველ მუშების უყურადღებოდ დარჩა. ამას ზედ დაერთო ის ხმა, ვითომც მუშები ერთმანეთს უნდა დაერივნენო. ამიტომ „რუსთის“, „როსიის“ და „ჩრდილოეთის“ საზოგადოებებში მომუშავე მუშებმა აირჩიეს თავიანთი წარმომადგენელნი და მიმართეს ქალაქის გამგეობას, შუამავლობა გაეწია მუშებს შორის და რამე ნაირად ეს უთანხმოება საბოლოოდ მოესპო. ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა მეუნარგიამ 12 დეკემბერს მოიწვია შავი ქვის მწარმოებელნი და აუწყა მუშების ამხანაი მდგომარეობა. პასუხი მწარმოებლებისა ასეთი იყო: „ეხლა ისეთი კრიზისი დადგა, რომ არა თუ მუშაობა, თავიც კი გვავიწყდება. ხოლო როცა მუშაობა განახლდება, ვისაც უნდა, იმან იმუშაოსო“. მეორე დღისთვის გამგეობაში მიწვეულნი იყვნენ საზოგადოებების მუშათა წარმომადგენელნი, მავი ქვის ძველი მუშები და აგრეთვე ისინი, რომელთაც ამას წინად მედიატორები გამოიწვიეს. ამ კრებას პოლიციაც უნდა დასწრებოდა მოწვეული იყო რამდენიმე ხმოსანიც იმ კომისიისა, რომელმაც უნდა დაარსოს „შრომის ბირჟა“, თანახმად საბჭოს დადგენილებისა. ყველანი გამოცხადნენ. მეუნარგიამ წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას ტოლმაჩოვის მოწერილობა. ტოლმაჩოვი სწერდა ადგილობრივ პოლიციას; „რადგან ფოთში შავი ქვის მუშები, შიმისა გამო, აქეთიქით გაიფანტნენ, ამისათვის წინადადებას გაძლევთ ჩიქოვანის მუშებს ჩააბაროთ მუშაობაო“. ეს ბევრს არ ესიამოვნა და არც სასიამოვნო იყო, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ზოგიერთა გავპატონების სიჯიუტემ ამ დღემდის მიიყვანა ზოგიერთი მუშებიც. პირველ მედიატორეთა გადაწყვეტილებას რომ დასთანხმებოდნენ, დღეს ეს ამბავი არ იქნებოდა და თუ იქნებოდა, არც ჩიქოვანის მუშებს დაუჭერდნენ მხარს ადგილობრივი მუშები. დაიწყო კამათი. მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ შავი ქვის ძველ მუშების წარმომადგენელმა დიდი ყურადღება მიიპყრო. იმისმა დინჯმა და წყნარმა ლაპარაკმა ყველანი გააკვირვა. ერთი გადაჭარბებული სიტყვა არ წარმოუთქვამს და არც ვისმეს პირადობას შეეხებია. საზოგადოებიდან რომ ასეთი წარმომადგენელი ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა თანხმობა ჩამოვარდნილიყო. მაგრამ ზოგიერთმა წარმომადგენელმა მაშინვე პირადობაზე დაიწყო ლაპარაკი. თავმჯდომარემ ბ-ნმა მეუნარგიამ ყოველი ღონე იხმარა, რომ პირადობას არ შეეხებოდნენ. ბევრის ლაპარაკის შემდეგ შავი ქვის მუშების წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა: „ავირჩიოთ კომისია და ამ კომისიის დადგენილებას დავემორჩილოთო“. მაგრამ მეორე მხარე არ დაეთანხმა. ამ მხარემ განაცხადა: „ორი წელიწადია, რაც ჩვენ თქვენ გეხვეწებით და გემუდარებით, სამედიატორო სამართალშიაც გამოგყევით, რომლის თავმჯდომარე დღესაც ამ კრებაზეა მოწვეული, მაგრამ თქვენ არც მედიატორეების გადაწყვეტილებას დაემორჩილეთ და არც ჩვენი თხოვნა მიიღეთ მხედველობაში. ეხლა მუშაობა არ არის, ხელში არაფერი გვაქვს და რისთვის ან რაზე უნდა დავნიშნოთ კომისიაო“. ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს მუშები, მაგრამ ტყუილად ფიქრობენ ბნელი ძალები იმათ გადაკიდებას. არიან ისეთი შეგნებული მუშები, რომელნიც ეცდებიან და ამ საქმეს საკეთილოდ მოაგვარებენ.

**მედგარი.**

## სამღვდელოების დეპუტატთა კრება

18 დეკემბერი

ამ დღეს კრებამ მოისმინა ექსარხოსის რეზოლიუცია კრების დადგენილებაზე სემინარიის შენობის შესახებ. ექსარხოსი უცხადებს: „ნება გაქვთ დაიტოვოთ სემინარიის ძველი შენობა, მაგრამ რაც შეეხება ახალს, რომლის შესახებაც დაადგინეთ—დაუთმოს სემინარიას სადგომადაო, შუამდგომლობას ვერ აღძრავ სინოდის წინაშე, რადგან ახალი შენობა რუს. სამღვდელოების საერთო თანხიდან არის აშენებული, ხოლო თანხაში ერთი გროშიც არ ურევია საქართველოს სამღვდელოებისაო (ერთმა მღვდელმა შენიშნა: 5 მილიონი ჯოველ წლიური შემოსავალი ჩამორთმეულ საეკლესიო მამულებისა განა არაფერიაო). ქართულ ენის სასულიერო სასწავლებლებში სწავლის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ სამღვდელოებამ კარგად უნდა დაიხსომოს, რომ ასეთი სისტემა მისთვის სასარგებლო არ იქნება. ამ სისტემაზე აღზრდილი თქვენი შვილები რუსულს ვერ ისწავლიან და შემდეგ თუ ისინი სახელმწიფო სამსახურში არ მიიღეთ, ნუღარ დაგვემდურებით. ამასთან თქვენის აზრის განსახორციელებლად საჭიროა 4 ოთახი და სხვა ხარჯი. თუ ყოველივეს ამას უზრუნველ ჰყოფთ, მაშინ აღვძრავ შუამდგომლობას—ნება მოგეცეთ ქართულს ენაზე სადვთისმეტყველო საგნების სწავლებისაო“.

ამასთან თავმჯდომარემ აცნობა დეკ. თალაკვაძეს ექსარხოსის პასუხი იმაზე, უმაღლესად დამტკიცებულ წესდებით აქვს თუ არა უფლება კრებას მოიწვიოს გარეშენი. ექსარხოსი ამბობს, მართალია უმაღლესად დამტკიცებულ წესდებაში არის ეს ნებართვა მაგრამ ეს წესდება მესამოცე წლებს შეეხებაო. ამის საპასუხოდ დეკ თალაკვაძემ განაცხადა კრებაზე: სულ ერთი წელიწადია, რაც თანახმად მესამოცე წლებში გამოცემულ და უმაღლესად დამტკიცებულ წესდებისა საბლაღოჩინო საბჭოები მოეწყო. ნუ თუ უმაღლესად დამტკიცებული კანონი სასულიერო მთავრობას გამოადგა ამისთვის და ჩვენი კრებისთვის-კი არაო.

წინა კრებაზე არჩეულმა კომისიამ, რომელსაც უნდა დაეთვალიერებია საეპარქიო სასწავლებელი, ამ დღეს წარადგინა მოხსენება. კომისიის მოხსენებით, სასწავლებელში 95 მოსწავლეა. თავისუფალი საკლასო ოთახი არ არის შენობაში, თუ რვა საწოლ ოთახს ერთს მოვაკლებთ, შეიძლება მე-7 კლასი იქ გავხსნათო. როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა სახსარზე კრებამ მოითხოვა სასწავლებლის 1908 წ. ხარჯთ აღრიცხვა. სასწავლებლის შესანახად საჭიროა 37,000 მან. სასწავლებელს, სადაც 95 მოსწავლეა ჰყოლია მთელი რაზმი მოსამსახურეებისა: 22 მოსამსახურე, 8 „კლასის დამა“ და ოთხი თანაშემწე. თითო მოსწავლის საჭმელზე იხარჯება დღეში აბაზი, ხოლო მოსამსახურეების საჭმელზე—25 კაპ. ყოველ პროფესიის მოსამსახურეს თითო თანაშემწე და ბევრს თანაშემწის თანაშემწეც ჰყოლია. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ შტატი შემცირდეს და გადარჩენილ ფულით მე 7 კლასი გაიხსნას.

კრებამ დაადგინა, პანსიონი არ გააუქმოს. შემცირდეს მოსამსახურეთა შტატი. ამით ყოველ წლივ დარჩება 2800 მან., რაც საკმაო მე-7 კლასისთვის; მე-7 კლასი გაიხსნას 1908 წლის სექტემბრიდან.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბეგლიშვილი.**


# განცხადებანი

საოჯახო სასტუმრო
„Семейные номера“.

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლ[...] მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახ[...] მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთა[...]ბი თვიურად და დღიურად. თვიურ[...] 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღ[...]რად 60 კაპ. 2 მანეთამდე. ოთახები მშ[...]ლი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთ[...]ხების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრუ[...] მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთა[...]ხი შეადაროს სხვის ორ მანეთი[...] ოთახს.** (20—509—2)

**სადეპეშო ადრესი:** **ტელეფონი № 69.**

„Граммокомпанія“,—Тифлисъ.

**ფაბრიკის ნიშანი:**

TRADE MARK
GRAMMOPHON

**განყოფილებანი:**

ბერლინი. ჰანოვერი. ლონდონი. პარიჟი. ვენა. პეტერბურგი. მილანი. ნეაპოლი. ბრიუსელი. ამსტერდამი. მოსკოვი. ხარკოვი. [illegible] სიდნეი.

# სააქციონერო საზოგადოება
# გრამოფონი

## და ხმების გადამღები მაშინა.

ტფილისის განყოფილება: გოლოვინის პროსპ. № 9.

# გაფრთხილება

გაზეთებში დაიბეჭდა «მელოდიფონის» ამხანაგობის განცხადება. ამან გვაიძულა ჩვენ მის მიერ შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებისა და გრამოფონის მოყვარულთა და მეგობართა ყურადღება მივაქციოთ ქვემორე აღნიშნულ განმარტებას.

მელოდიფონის ამხ.-ის ფირფიტები მხოლოდ ასლია ჩვენის ფირფიტებისა. მელოდიფონის ამხანაგობა სამღერად არ იწვევს ცნობილ არტისტებს: მან გადმოიღო ხმები ჩვენი ფირფიტებიდან, უბრალო მოლაპარაკე მაშინებზე. ჩვენ მომღერალს მისი ხმის ჩასაწერად ათასობით ვამლევთ, მელოდიფონის ამხანაგობა კი ხარჯავს მხოლოდ რამდენიმე ასეულს: ყიდულობს ჩვენს მზა-მზარეულ ფირფიტებს და იქიდან იღებს ასლს. ასეთ უკანონო სიყალბის გამო ეს ამხანაგობა ფირფიტებს შედარებით ჩვენზე იაფად ჰყიდის. ცხადია, რომ ასეთ საშუალებით გადაღებული ხმა არ შეიძლება გამოვიდეს მკაფიოდ, ბუნებრივად და სინამდვილით. მაგალითად: სურათიდან რომ ფოტოგრაფია გადავიღოთ, იგი არას დროს არ ემჯობინება პირდაპირ ორგინალიდან გადაღებულს, ასევე ხდება ხმის გადაღების დროს ფირფიტის საშუალებით. ამ რიგად, მელოდიფონის საზოგადოება სარგებლობს ხალხის უცოდინარობით და მის ექსპლოატაციას ეწევა, რაიც, სხვა რომ არა იყოს რა, საკადრისი არ არის.

ჩვენ ვამბობთ, რომ მელოდიფონის ამხანაგობის ფირფიტები ასლია ჩვენის ფირფიტებისა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მთელი ქვეყნის საუკეთესო მომღერლებმა, გარდა ზოგიერთებისა, აღიარეს, რომ მხოლოდ ჩვენ მიერ გადაღებული ვოკალური ხმები გამოდის კარგად და ჩვენი საზოგადოების დირექციას პირობა დაუდეს, რომ ისინი არ იმღერებენ სხვა ფირმებისთვის, რომელნიც მოისურვებენ მათი სიმღერის ჩაწერას. ჩვენის ფირფიტებიდან გადაწერა და გადაღება მათის გასასყიდად დაუკითხავად ჩვენ და მომღერალთა სასტიკად აკრძალულია. ვინც ამას ჩაიდენს, საზოგადოება იქნება იგი თუ ცალკე პიროვნება, მიცემულ იქნება სისხლის სამართალში როგორც დაემართა მელოდიფონის ამხანაგობას, თანახმად კანონისა შესახებ კონტრაფაქციისა, რაიც აღნიშნულია კანონთა კრებულის I ნაწილის, ტ. X, მუხ. 45, დამატ. მე-420 მუხ. (შენიშ. 2). ეჭვს გარეშეა, რომ **ენრიკო კარუზო, შალიაპინი** და სხვებიც თავიანთ პირობას არას დროს არ გადაუხვევენ.

ვერაფერს უშველის ხმის ასეთ ნაირ გადაღებას ვერც საუკეთესო მასალა და ვერც ახალი საშუალება. მეორე ფირფიტებიდან გადმოღებული ხმა ბუნებრივი არ გამოდის და ასეთივე არაბუნებრივი იქნება შემდეგშიაც.

რაც შეეხება გრამოფონებს—**მხოლოდ ჩვენი ნაწარმოები**,—რომელსაც ნიშნად აქვს **«მწერავი ამური»**, რომლის შესახებაც სწერს მელოდიფონის ამხანაგობა, რომ დაკლებულის ფასით ვყიდითო, ეს გრამოფონები დაძველებულნი და შეკეთებულნი არიან, რომელნიც მელოდიფონის ამხ.—ამ შეისყიდა. თუ ისინი მართლა ახლები არიან, მელოდიფონის ამხ.—ს ეს აპარატები ლეგალურ საშუალებით არა აქვს ნაყიდი. ყოველ ვაჭარს, ვინც კი ჩვენი გრამოფონებით ვაჭრობს, პირობა აქვს ჩვენთან დადებული, რომ იგი მთელ რუსეთში, **კავკასიაში და იმიერ კასპიის მხარეში** ერთნაირ ფასებში გაჰყიდის საქონელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმა მოელის. არც ერთ ვაჭარს, თუ ის ჩვენი წარმომადგენელი არ არის, არსაიდან არ შეუძლიან ჩვენი საქონლის გაყიდვა, საზღვარ გარეთიდან კი ჩვენი საქონელი მოსდით მხოლოდ ჩვენს განყოფილებებს.

ვაფრთხილებთ გამოუცდელს პატივცემულ საზოგადოებას, ერიდნენ აპარატების ყიდვას დაკლებულის ფასებით, ვინაიდან ასეთ აპარატებისა და ფირფიტების ყიდვას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ ნაყიდი საქონელი დროებით დავატუსაღოთ, სანამ საქმე გამოირკვეოდეს.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ **ნამდვილ გრამოფონებად**, **ნამდვილ ფირფიტებად და ნამდვილ მოწყობილებად** მათთვის ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც ერთნაირ ფასებში იყიდება მთელ რუსეთში და რომელიც აღნიშნულ არის, ყველასთვის საკმაოდ ცნობილ, **ჩვენი ფაბრიკის ნიშნით**. ეს ნიშანი გამოცხადებულია მთელი ქვეყნის ყველა სახელმწიფოში და დამტკიცებულია მანუფაქტურისა და ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ. დანარჩენი ნიშნები მიბაძვაა. მათს პასუხის მგებლობას ჩვენ ვერ ვკისრებთ. თუ ჩვენი ნაწარმოები ჩვეულებრივზე დაბალსა და დაკლებულ ფასებში იყიდება, ეს საქონელი, უეჭველია, მოპარულია უპატიოსნო და არალეგალურის საშუალებით, რაიც ყოველ შემთხვევაში დაუყონებლივ დევნილ იქნება სასამართლოს საშუალებით.

დავშთებით პატივისცემით

საააქციონერო საზოგადოება

# გრამოფონი

ტფილისის განყოფილება. (ნ.—1)


სტამბა „ოღული“ (მ. ფ. კუჭნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6